ქ. თბილისი

10 ივნისს, **2026** წელი

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს "ინტერი"-ს (სკ 406258801) დირექტორი, გიორგი ბეჭვაია (დაბ. 29.09.1978წ. პ.№62004002717) უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, მდებარე: ქალაქი თბილისი, ნიკიფორე ირბახის ქუჩა, № 17,კომერციული ფართი (მშენებარე) 434.2 კვ.მ.(ს.კ:. 01.17.01.050.029.01.03.502) თანამესაკუთრე - შპს "ინტერი" (სკ 406258801). შპს „ინდიგოქარს გე"-ს (ს/კ№404724241) გაძლევ უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას იმის თაობაზე, რომ:

- შპს „ინდიგოქარს გე"-მ (ს/კ№404724241), საკუთარი შეხედულებით, შპს "ინტერი"-სგან (სკ 406258801) რაიმე სახის დამატებითი თანხმობის ან ნებართვის გარეშე მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება შენობა-ნაგებობის ფასადის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ასევე შენობა-ნაგებობის ფასადზე და/ან სხვა ნაწილებში როგორც საკუთარი, ასევე მესამე პირების სარეკლამო აბრების, ფირნიშების და კონსტრუქციების განთავსებასთან დაკავშირებით და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ფასადის რეკონსტრუქციის ან რეკლამის განთავსების შესახებ ნებართვის (მათ შორის, პირველი კლასის მშენებლობის ნებართვის) მიღების/მოპოვების მიზნით, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მის დაქვემდებარებულ სამსახურებს, მათ შორის და არა მარტო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე თანხმობა განიხილება ამავე თანხმობის ქმედებების მიმართ შპს "ინტერი"-ს (სკ 406258801) მიერ გამოთქმულ სრულ და საკმარის თანხმობად და არავინ შეიძლება დააყენოს იგი ეჭვქვეშ, ან დამატებით მოსთხოვოს შპს „ინდიგოქარს გე"-ს (ს/კ№404724241) შპს "ინტერი"-სგან (სკ 406258801) თანხმობა წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების განხორციელების ეტაპზე.

აღნიშნული თანხმობის ფარგლებში, შპს „ინდიგოქარს გე" (ს/კ№404724241) უფლებამოსილია წარმომადგინოს ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის და არამხოლოდ ქალაქ თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურებთან ურთიერთობაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობაში და აღნიშნულის თანხმობით გათვალისწინებული ქმედებების განსახორციელებლად, წარმოადგინოს/მიიღოს ნებისმიერი ცნობა/დოკუმენტი/ მოწმობა/წერილი/საბუთი, მაოწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას/ გადაწყვეტილებას/განცხადებას.

შპს "ინტერი"-ს (სკ 406258801)

დირექტორი: გიორგი ბეჭვაია

გიორგი ბეჭვაია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260763499
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.06.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**დავით იმნაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქ. 49**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 032 2477879
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	48926879861626

ორი ათას ოცდაექვსი წლის ათ ივნისს, მე, ნოტარიუსს დავით იმნაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. #49, მომმართა: გიორგი ბეჭვაიამ., როგორც შპს "ინტერი"-ს (სკ 406258801) დირექტორმა, მან წარმოადგინა თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: გიორგი ბეჭვაიამ (დაბ. 29.09.1978წ. პ.#62004002717, მის: გულრიფში ს. ბაბუშარა) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად თითოეულ ეგზემპლარზე შესრულდა ერთი ხელმოწერა; ჯამში შესრულდა 2 (ორი) ხელმოწერა.

სანოტარო მომსახურეობის საზღაური (12.00) თორმეტი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ: (2.16) ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 166-ე მუხლისა. პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 39-ე მუხლისა. სულ (19.16) ცხრამეტი ლარი და თექვსმეტი თეთრი.

ნოტარიუსი დ. იმნაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18